# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1368 2021 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

## სოფლად მცხოვრები მოსახლეობის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის (შემდგომში – ვაქცინაცია) ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ვაქცინაცია განხორციელდეს სამედიცინო, ან არასამედიცინო დაწესებულებაში, ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ან ბინაზე (გადაადგილებაშეზღუდული პირებისთვის), „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერვისის მიწოდება განხორციელდეს „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებით (შემდგომში – მთავრობის 2020 წლის 31

დეკემბრის №828 დადგენლება) დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით – „იმუნიზაცია“ განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) რეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებების ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, ამცრელი კაბინეტებისა და გამსვლელი ბრიგადების მეშვეობით;

გ) აცრა-ვიზიტების მომსახურების ღირებულება ანაზღაურდეს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით – „იმუნიზაცია“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად:

გ.ა) ამცრელი კაბინეტების შემთხვევაში – 4 ლარი;

გ.ბ) გამსვლელი ბრიგადების შემთხვევაში – 7 ლარი.

**2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, დაევალოთ:**

ა) **მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარე** „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით (შემდგომში – საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება) დამტკიცებული **პროგრამის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებს** – უზრუნველყონ ამცრელი ბრიგადის დაკომპლექტება შესაბამისი სამედიცინო პერსონალითა და ვაქცინაციისთვის საჭირო საგნებით/აღჭურვილობით, შესაბამის ლოკაციაზე ვაქცინაციის ჩატარების მიზნით. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული გეგმური ამბულატორიული

მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებს განესაზღვროთ ვალდებულება, უზრუნველყონ მათ დაწესებულებაში რეგისტრირებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობის (ე. წ. „დამატებითი პაკეტის“ მოსარგებლეები) ვაქცინაცია სოფლის ექიმებისა და ექთნების ჩართულობით;

**ბ) მუნიციპალურ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს, უზრუნველყონ:**

ბ.ა) ვაქცინაციის ლოკაციებზე შესაბამისი ვაქცინებით მომარაგება და ცივი ჯაჭვის მონიტორინგი;

ბ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ამცრელ ბრიგადებსა და ასაცრელ კონტიგენტს შორის კოორდინაცია;

**გ) ცენტრს – შესაბამისი ვაქცინებით მომარაგება და ცივი ჯაჭვის მონიტორინგი;**

**დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:**

დ.ა) მოსახლეობის ვაქცინაციის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის შერჩევა და შეთანხმება ცენტრსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სამედიცინო და ფარმეცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან;

დ.ბ) ასაცრელი კონტიგენტის მობილიზება და მოწვევა ვაქცინაციისთვის;

დ.გ) საჭიროების შემთხვევაში, ასაცრელი პირების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;

დ.დ) ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით – ვაქცინაციის ოპერატიული შტაბის ჩამოყალიბება;

**ე) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს:**

ე.ა) ვაქცინაციის პროცესში სოფლის ექიმების/ექთნების ჩართვის ხელშეწყობა;

ე.ბ) ვაქცინაციის მიზნით, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესაფერისი სოფლის ამბულატორიების შერჩევის პროცესის ხელშეწყობა;

**ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს,** საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების შენობების გამოყოფა, სასწავლო პროცესის აღდგენამდე პერიოდში;

**ზ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს,** საჭიროების შემთხვევაში, აცრების წარმოებისთვის დამატებით სამედიცინო პერსონალის გამოყოფა, ასევე მოსაცდელი სივრცეების მოწყობის ხელშეწყობა (კარვებით უზრუნველყოფა);

**თ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინაცია.**

3. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ადმინისტრირებისათვის საჭირო ფორმებსა და წესს სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრი.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**